საქართველოს მთავრობის

დადგენილება №131

2024 წლის 8 აპრილი

ქ. თბილისი

„2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №529 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №529 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, 470000000.10.003.024362) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

ა) №3 დანართის (ეპიდზედამხედველობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **2 700.0 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისთვის	1,030.0
	მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება არაუმეტეს	450.0
2	კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებითა და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული* (პროტოზოოზები, ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება	1,255.0
3	ნოზოკომური ინფექციების ეპიდზედამხედველობა	30.0
4	ვირუსული დიარეების კვლევა	25.0
5	B და C ჰეპატიტებზე ეპიდზედამხედველობა	100.0
6	გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება (მათ შორის, საყრდენი ბაზების მომსახურება თვეში არაუმეტეს 12 000 ლარისა)	260.0
სულ:		**2,700.0**

.“;

ბ) №11 დანართის (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა):

ბ.ა) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესის“ შესაბამისად, კვარტალურად მუნიციპალიტეტისთვის დანართ №11.1-ით განსაზღვრული ბიუჯეტის 1/4-ის ოდენობით.

2. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ზემოაღნიშნული წესისგან განსხვავებული პირობებით, გამონაკლისის სახით, ყოველ კვარტალურად დაფინანსდება 15 ათასი ლარის ოდენობით.“;

ბ.გ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი – **14.195.0 ათასი** ლარი.“;

ბ.დ) დანართი №11.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №11.1

№	ქალაქების/ მუნიციპალიტეტების დასახელება	მიზნობრივი ტრანსფერის ზღვრული წლიური მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (ათასი ლარი)	მიზნობრივი ტრანსფერის ზღვრული კვარტალური მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (ათასი ლარი)
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	444.5	111.13
2	ახმეტის მუნიციპალიტეტი	274.7	68.68
3	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	269.4	67.35
4	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	181.6	45.40
5	თელავის მუნიციპალიტეტი	270.1	67.53
6	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	271.0	67.75
7	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	271.4	67.85
8	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	270.6	67.65
9	ყვარლის მუნიციპალიტეტი	269.9	67.48
10	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	312.4	78.10
11	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	270.0	67.50

12	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	175.7	43.93
13	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	269.0	67.25
14	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	176.7	44.18
15	ვანის მუნიციპალიტეტი	176.0	44.00
16	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	269.6	67.40
17	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	268.0	67.00
18	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	269.5	67.38
19	საჩხერის მუნიციპალიტეტი	269.8	67.45
20	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	178.4	44.60
21	ხონის მუნიციპალიტეტი	175.6	43.90
22	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	267.2	66.80
23	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	315.6	78.90
24	აბაშის მუნიციპალიტეტი	175.3	43.83
25	მარტვილის მუნიციპალიტეტი	270.9	67.73
26	მესტიის მუნიციპალიტეტი	187.3	46.83
27	სენაკის მუნიციპალიტეტი	269.9	67.48
28	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	176.1	44.03
29	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	270.3	67.58
30	ხობის მუნიციპალიტეტი	270.4	67.60
31	გორის მუნიციპალიტეტი	318.9	79.73
32	კასპის მუნიციპალიტეტი	270.7	67.68
33	ქარელის მუნიციპალიტეტი	270.4	67.60
34	ხაშურის მუნიციპალიტეტი	270.1	67.53
35	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	312.4	78.10
36	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	269.3	67.33
37	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	316.8	79.20
38	დმანისის მუნიციპალიტეტი	179.2	44.80
39	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	179.1	44.78
40	მარნეულის მუნიციპალიტეტი	316.3	79.08
41	წალკის მუნიციპალიტეტი	177.4	44.35
42	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	270.0	67.50

43	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	315.6	78.90
44	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	178.1	44.53
45	ადიგენის მუნიციპალიტეტი	178.1	44.53
46	ასპინძის მუნიციპალიტეტი	176.7	44.18
47	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	272.0	68.00
48	ახალციხის მუნიციპალიტეტი	269.8	67.45
49	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	270.4	67.60
50	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	178.2	44.55
51	დუშეთის მუნიციპალიტეტი	281.2	70.30
52	თიანეთის მუნიციპალიტეტი	178.4	44.60
53	მცხეთის მუნიციპალიტეტი	270.3	67.58
54	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	177.5	44.38
55	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	179.0	44.75
56	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	179.6	44.90
57	ონის მუნიციპალიტეტი	179.7	44.93
58	ცაგერის მუნიციპალიტეტი	177.9	44.48
	სულ	**14,150.0**	3,537.50

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**